# ქალაქ თბილისის
# მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 453

"27" ნოემბერი 2015 წ

ქ. თბილისი

**ქ.თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ცოტნე დადიანის ქუჩასთან მდებარე სპორტული მოედნისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლები ვასიკო და ნუკრი წიკლაურების სახელის მინიჭების შესახებ**

1. საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) ნაძალადევის რაიონში, ცოტნე დადიანის ქუჩასთან (№34 მიმდებარე ტერიტორია) მდებარე სპორტულ მოედანს მიენიჭოს აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლები ვასიკო და ნუკრი წიკლაურების სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ ოთხი თვის ვადაში უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების გახორციელება.

2. განკარგულება ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი


X-483.100.190
Y-4.619.961.192
X-483,117.971
Y-4,619.964.473
ვასიკო და ნუკრი წიკლაურების
სპორტული მოედანი
X-483,124.532
Y-4,619,936.215
X-483,107.070
Y-4,619,932.511